ბიბლია (ძველი აღთქმა)

კრიტიკულად დადგენილი ტექსტების პირველი სრული გამოცემის პრეზენტაცია

2018 წლის 4 იანვარს, 12:30 საათზე საქართველოს საპატრიარქოში გაიმართება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ბიბლიის (ძველი აღთქმა) პრეზენტაცია.

ბიბლიის (ძველი აღთქმა) ქართულ თარგმანთა კრიტიკულად დადგენილი ტექსტების სრული კორპუსის პირველი გამოცემის წიგნი დაიბეჭდა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

გამოცემა მოიცავს V-XVIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში დაცული „ძველი აღთქმის“ წიგნების სრულ მასალას და წარმოადგენს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა თითქმის 60-წლიანი შრომის შედეგს.

ბიბლიის სრული ტექსტის არსებობაზე ზრუნვა ქართველმა მოღვაწეებმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყეს: 1709 წელს, თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში დაიბეჭდა ფსალმუნისა და ახალი აღთქმის ტექსტები, ხოლო 1710-1711 წინასწარმეტყველთა წიგნები, რომლებიც მხოლოდ გელათის ბიბლიის (A 1108) ხელნაწერს ეფუძნებოდა. ბიბლიის დანარჩენი ნაწილები ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო დაუბეჭდავი დარჩა. ბიბლიის ყველაზე სრული კრებული, რომელიც ნაბეჭდი სახით არსებობს, 1743 წელს ქ. მოსკოვში დაბეჭდილი ე. წ. ბაქარის ბიბლიაა, რომელიც მეფე ბაქარის ხარჯით დაიბეჭდა.

XX საუკუნის 60-იან წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა ილია აბულაძის ხელმძღვანელობით გამოსაცემად მოამზადა ბიბლიის სრული კრიტიკული ტექსტი, სადაც გათვალისწინებულია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ (სინის მთა, იერუსალიმი, ათონი და სხ.) დაცული ყველა არსებული ხელნაწერის მონაცემები. ამ ჯგუფმა აღწერა ბიბლიური წიგნების შემცველი ყველა ხელნაწერი და ფრაგმენტი (სულ 32 ერთეული: 20 ხელნაწერი დანარჩენი ფრაგმენტი). ამ საქმეს რამდენიმე თაობის შრომა დასჭირდა. XX საუკუნის 80-იან წლებსა და 90-იანი წლების დასაწყისში ცალკეულ ნაკვეთებად გამოიცა ძველი აღთქმის ტექსტების ნაწილი, მაგრამ სრული, ერთიანი, ტექსტის გამოცემა ვერ მოხერხდა. წელს მრავალწლიანი დაუღალავი შრომის შედეგად დაიბეჭდა ბიბლიის კრიტიკული ტექსტი, რაც უმნიშნველოვანესი მოვლენაა ქვეყნისათვის.

ტექსტის სრული მოცულობა 2890 გვერდია.